

აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის
ხელშემწყობი გარემოს შექმნა
საბავშვო ბაღებში



აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის ხელშეწყობი გარემოს შექმნა საბავშვო ბაღებში


ხშირად აუტიზმის მქონე ბავშვებს, ბაღში გარკვეული სირთულეები ექმნებათ, რაც



ძირითადად კომუნიკაციისა და სოციალური ქვეცის დროს გამოიხატება. არსებული ბროშურა მიზნად ისახავს, დაეხმაროს ბაღის მასწავლებლებს აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის კომფორტული და განვითარების ხელშეწყობი გარემოს შექმნაში.

გარემოში იგულისხმება, ყველაფერი რაც ბაღის ყოველდღიურობასთან არის კავშირში: ბავშვის ბაღში მიღების დღიდან - მის თამაშებსა და დღის სხვა აქტივობებში ჩართვამდე. ბროშურის შემდგენელების სურვილია, გაამარტივოს ბაღის პედაგოგებისა და აუტიზმის მქონე ბავშვების ურთიერთობა და ხელი შეუწყოს ისეთი ურთიერთობის ჩამოყალიბებას, რომელიც მისაღები და კომფორტული იქნება, პედაგოგის, აუტიზმის მქონე და ყველა დანარჩენი ბავშვისთვის. ამის მიღწევაში კი შესაბამისი გარემოს შექმნა დაგეხმარებათ.

იმისთვის, რომ უფრო ადვილად შეძლოთ გარემოს მოწყობა და აუტიზმის მქონე ბავშვებთან კომუნიკაციის დამყარება - კიდევ ერთხელ ძალიან მოკლედ და ზოგადად გავიხსენოთ რას ნიშნავს აუტიზმი.



აუტიზმი

აუტიზტური სპექტრის აშლილობა განსაკუთრებული მგომარეობაა, რომელიც მთელი ცხოვრების განავლობაში თან სდევს ადამიანს და გავლენას ახდენს მის საკომუნიკაციო უნარებსა და მის მიერ გარესამყაროს აღქმაზე.

ბავშვებს, რომლებთანაც თქვენ გექნებათ ურთიერთობა, სირთულეები ექნებათ შემდეგ სფეროებში:

- > საკომუნიკაციო უნარები
- > სოციალური უნარები

> თავისუფალი/მოქნილი აზროვნების სირთულე- რაც ხელს შეუშლის მაგ. წარმოსახვით თამაშებში ჩართვაში აუტისტური სპექტრის აშლილობა ზოგადი ცნებაა და სხვადასხვა დიაგნოზს აერთიანებს მაგ. ასპერგერის სინდრომი, მაღაფუქციური აუტიზმი, პერვაზიული განვითარების აშლილობა და სხვა. ჩვენს შემთხვევაში არ არის საჭირო თითოეული ამ დიაგნოზის სიღრმისეული ცოდნა, შესაბამისად გამოვიყენებთ ტერმინს „აუტიზმის მქონე ბავშვები“ და შევეცდებით შემოგთავაზოთ ისეთი სტრატეგიები, რომელიც მეტწილად ნებისმიერი მათგანისთვის და ასევე ყველა სხვა ბავშვისა და პედაგოგისთვის კომფორტული იქნება.

სანამ აუტიზმის მქონე ბავშვებთან ურთიერთობას დაიწყებდეთ, გაიხსენეთ ის თუ რა, არის მათი უმრავლესობისთვის დამახასიათებელი და პატივისცემით მოეკიდეთ მათ მდგომარეობას.

- არავერბალური ქცევის ვერ გაგება: თვალთ კონტაქტი, მიმიკები, ჟესტები და სხეულის ენა
- ენის/მეტყველების პირდაპირი (სიტყვა-სიტყვით) გაგება. რაც იმას ნიშნავს, რომ მათ უჭირთ ირონიის ან გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამის გაგება (მაგალითად, „ყურები გამოიბერტყე“, „ცხვირი ნუ ჩამოშვი“ და ა.შ.)
- ვიზუალურ, სმენით და შეგრძნებით გამღიზიანებლებზე ძალიან მაღალი ან ძალიან დაბალი მგრძნობელობა (მაგალითად, მათ შესაძლოა ოთახში მყოფი დამიანის და გარედან შემოსული მანქანის ხმა ერთ ტონალობაში ესმოდეთ და მნიშვნელოვანი ხმის მეორეხარისხოვანი ხმისაგან გარჩევა უჭირდეთ. შეიძლება მცირედი შეხება, როგორც ძლიერი დარტყმა აღუქვან ან საერთოდ ვერ იგრძნონ. ასევე შესაძლებელია, ისეთ დეტალებს ამჩნევდნენ, რასაც სხვები ყურადღებას არ აქცევენ, მაგალითად მზის სხივები, ჩრდილები და ა.შ.)
- სხვისი ნათქვამის ან ქცევის გაგების სირთულე (სწორედ ამიტომ სასურველია ნათქვამის „ჩვენება“ - ნახატების, სიმბოლოების, სურათებისა თუ ბარათების გამოყენება)
- რუტინასა და რიტუალებზე დამოკიდებულება, სირთულეები ცვლილებებისას

- ინტერესების სიმცირე

ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინების შემდეგ, უკვე შეგიძლიათ მოემზადოთ ბავშვთან შესახვედრად

პირველი შეხვედრა/ბაღში მიღება

სანამ მშობლები ბავშვს ბაღში მოიყვანენ, შეხვდით მშობლებს ბავშვის გარეშე. პირველ შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მშობლებმა თქვენს დაწესებულებაში თავი კონფორტულად უნდა იგრძნონ. ოჯახის თბილად მიღება მომავალი პოზიტიური ურთიერთობის საწინდარია. დააკვირდით შემდეგ საკითხებს და მიხედვით, როგორ მოახერხებთ კეთილგანწყობის მოპოვებას: ხვდებით თუ არა ღიმილით ოჯახს, რომელიც პირველად მოდის თქვენთან? რამდენად სწრაფად იღებთ მათ, ხომ არ უწევთ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ლოდინი? რამდენად კარგად უსმენთ მათ? თუ მშობლებმა პირველი ვიზიტისას უარყოფითი გამოცდილება მიიღეს, ამან შეიძლება გავლენა იქონიოს მომავალ ურთიერთობაზეც. ბევრ მშობელს უჭირს ახალ ჯგუფში ან ახალ გარემოში შესვლა და თავს „დაუპატიჟებელ სტუმრებად“ აღიქვამენ. ხშირად ჩვენ გვავიწყდება მშობლების მდგომარეობა, და ძირითადი ყურადღება ბავშვზე გადაგვაქვს. რაც უფრო კარგად მოემზადებიან მშობლები ბავშვის ბაღში მოსაყვანად და რაც უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებენ თქვენგან, მით უფრო კარგად შეძლებენ ბავშვის ბაღისთვის მომზადებას.

რა ინფორმაცია უნდა მიიღოთ მშობლისგან

- ჰკითხეთ მშობლებს როგორ ვითარდებოდა ბავშვი დაბადებიდან. ვისთან ამყარებდა და ამყარებს ინტერაქციას და როგორ. (რეაგირებს ვერბალურ მითითებებზე თუ იყენებს კომუნიკაციის სხვა ხერხებს, თუ კი რომელს და როგორ) რომელი სათამაშოებით უყვარს თამაში.

- გააცანით მშობლებს თქვენი დაწესებულების დღის განრიგი და არსებული აქტივობები, დაათვალიერებინეთ ჯგუფი. გაატანეთ დღის ვიზუალური განრიგი სახლში და სთხოვეთ შეძლებისდაგვარად მოამზადონ ბავშვი ბალისთვის, გაითამაშონ სახლში „ბალის ერთი დღე“ ვიზუალური მინიშნებების გამოყენებით.

მშობლებთან საუბრისას გააკეთეთ მოკლე ჩანაწერი ბავშვის შესახებ. მიღებული ინფორმაცია დაგეხმარებათ ბავშვისთვის გარემოს მოწყობაში, რომელიც მისთვის „ნაცნობი“ იქნება, თუ მაგალითად, დაახვედრებთ ისეთ სათამაშოს, რომლითაც მას უყვარს თამაში და ესაუბრებით იმ სიტყვებზე, რომლებზეც ის რეაგირებს, ან გამოიყვებთ ისეთ ჟესტებს და მიმიკებს, რაც ბავშვისთვის უკვე ნაცნობია.

ბავშვის მომზადება ბალისთვის მას შემდეგ, რაც მშობლებს გაესაუბრებით და დაწვრილებით გააცნობთ თქვენი ჯგუფის დღის განრიგს, დაათვალიერებინეთ ჯგუფს, ანახებთ ვიზუალურ მინიშნებებს და სახლში გაატანთ ასეთივე ბარათებს, სთხოვეთ, რომ შემდეგ ჯერზე, ისევ სემეტრის დაწყებამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე, ბავშვთან ერთად მოვიდნენ ბაღში. (და მოიტანონ ბავშვის სურათი იხ. ნახატი 1) ბალის ჯგუფის შესასვლელთან სპეციალურად მომზადებულ კოლოფში წინასწარ ჩადეთ ბავშვის და თქვენი ფოტოები. შემდეგ ბავშვთან და მშობელთან ერთად მიდით ამ ადგილას, აიღეთ თქვენი ფოტო და სთხოვეთ ბავშვს მანაც იგივე გააკეთოს, თუ თითონ არ აიღებს ფოტოსურათს, სთხოვეთ მშობელს აიღოს ის, გამოგყვეთ თქვენ და ჯგუფში სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, დაკიდეთ თქვენი ფოტო, ბავშვსაც სთხოვეთ გაიმეოროს იგივე, თუ თითონ არ მოუნდება, სთხოვეთ მშობელს დაკიდოს ბავშვის ფოტო. (მნიშვნელოვანია, ბავშვმა დაინახოს ეს პროცესი, რათა დროთა განავლობაში თვითონ გააკეთოს იგივე. სურათის აღება და დაკიდება გადაიქცევა ბაღში მოსვლის რიტუალად, რაც სამომავლოდ ბავშვს დაცულობის და საკუთარ თავში დარწმუნებულობის გრძნობას გაუჩენს). ჯგუფში შესვლის და ფოტოსურათის დაკიდების შემდეგ, დააცადეთ ბავშვს დაათვალიეროს ოთახი, დააკვირიდით რითი დაინტერესდება, რომელი სათამაშოებით ითამაშებს, რა გაახალისებს და ა.შ. აქვე შეგიძლიათ გაკეთოთ ჩანაწერები, რაც შემდეგში დაგეხმარებათ გაუკეთოთ მას „ჯერ-

შემდეგ“ ბარათები. (გამარტება იხ. ნახატი 3) როდესაც ინტერესს დაიკმაყოფილებს შეარჩეთ მომენტი, რომ დაანახოთ დღის ვიზუალური განრიგი, ჩამოხსენით დილის წრის ბარათი, დაანახეთ და გაახმოვანეთ: მოდით, დავსხდეთ წრეზე. შემდეგ მშობელთან და ბავშვთან ერთად დასხედით წრეზე, რათა ბავშვმა ბარათი და ქმედება დააკავშიროს ერთმანეთთან. როდესაც წრეზე დასხდებით, ჩაატარეთ რამე მოკლე აქტივობა მაგალითად, გადააწოდოთ ერთმანეთს ბურთი და დაასახელეთ თქვენი სახელები, ან დაითვალეთ ან იმღერეთ. მწვანელოვანია დილის წრე დაასრულოთ იქამდე, სანამ ბავშვს მოზეზრდება. დილის წრის დასრულების შემდეგ ადექით და ერთად დაკიდეთ ბარათი თავის ადგილას და გადაატრიალეთ, რათა გამოჩნდეს ბარათის უკანა, მუქი ფერის მხარე და ბავშვი მიხვდეს, რომ ერთი აქტივობა დასრულდა. შემდეგ მიეცით საშუალება ითამაშოს ჯგუფში, თუ შეძლებთ ჩაერთეთ მასთან თამაშში. მალევე დაბრუნდით ვიზუალურ განრიგთან, სადაც ყველა ბარათი გადაატრიალებული იქნება, გარდა სახლში წასვლის ბარათისა. დაანახეთ ეს ბარათი და ისიც გადაატრიალეთ, თან გაახმოვანეთ - სახლში წასვლის დროა. შემდეგ მიდით ისევ თქვენს ფოტოსურათებთან, ჩამოხსენით თქვენი ფოტოსურათი და სთხოვეთ მასაც ჩამოხსნას თავისი, თუ არ ჩამოხსნის სთხოვეთ მშობელს ან ჩამოხსენით თქვენ და მიაწოდეთ ბავშვს, შემდეგ წაიღეთ და დაალაგეთ სურათები იმ ადგილას საიდანაც თავიდან აიღეთ. (ბავშვის პირველი ვიზიტი ბაღში მოკლე უნდა იყოს და უფრო ადრე უნდა წავიდეს, ვიდრე მოზეზრდება). სემესტრის დაწყებამდე კიდევ ერთხელ მოიყვანით ბავშვი მშობელი და კიდევ მისი ჯგუფიდან 2 ბავშვი (სთხოვეთ სხვა მშობლებს) და გაიმეორეთ იგივე რიტუალები. ამის შემდეგ უკვე როდესაც დაიწყება ბაღი, სთხოვეთ მშობელს პირველი დღეებში არ მოიყვანოს ბაღში, მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ჯგუფში „ქაოსი“ აღარ იქნება. როდესაც მოიყვანს მთელი დღით არ დატოვოს, არამედ იმდენი ხნით სანამ ბავშვს იქ ყოფმა მოსწონს. სასურველია, მაშინ წაიყვანოს ბაღიდან, როდესაც ბავშვს წასვლა არ უნდა, რადგან კიდევ მოუხდეს მოსვლა. ბავშვი მაშინ უნდა წაიყვანონ სახლში, როდესაც ის თავს კარგად იგრძნობს, და არა მაშინ როდესაც ის ტირის. ყოველი შემდეგი დღის განმავლობაში ბავშვის ბაღში ყოფნის პერიოდი გაზარდეთ.

გარემო- ჯგუფის მოწყობა ნებისმიერი ბავშვისთვის კომფორტულია კარგად სტრუქტურირებულ გარემოში ყოფნა, განსაკუთრებით კი აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის, რომლებსაც სივრცეში ორიენტაციას, დღის თანმიმდევრობის გაგებასა და გარემოს აღქმას ვიზუალური მინიშნებები უადვილებს. ცენტრები კარგად უნდა იყოს გამოყოფილი ერთმანეთისგან და თითოეულს თავისი სიმბოლური მინიშნება უნდა ჰქონდეს. გარდა ამისა, საჭიროა, გამოყოფილი გქონდეთ პატარა კუთხე, სადაც ბავშვი გადაღლის შემთხვევაში შეძლებს დასვენებას, კუთხე უნდა მოაწყოს რბილი მასალიგან და „ტანტრუმის“ შემთხვევაში შეძლებთ ბავშვის იქ შეყვანას. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დახმარება აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის კი ვიზუალური მინიშნებებია. ისინი ძალიან კარგად უნდა იყოს შერჩეული: მარტივად გასაგები და დიდი ზომის ნახატები, ფოტოები ან სიმბოლოები. ამავე დროს მნიშვნელოვანია ოთახი ზედმეტად არ გადატვირთოთ ვიზუალური მასალით, რომ ბავშვებს ყურადღება არ გაეფანტოთ და გამოიყენეთ მხოლოდ იქ, სადაც საჭიროა.


რატომ არის ვიზუალური მასალა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი?

ვიზუალურ მინიშნებებს ყოველდღიურათ იყენებს ნებისმიერი ჩვენგანი, მაგალითად, საგზაო ნიშნებს, საკვები ობიექტების აღმნიშვნელ სიმბოლოებს, ტრაფარეტებსა და სხვა. ეს მინიშნებები, გვიადვილებს იმ გარემოსა და სივრცეში ორიენტაციას, რომელშიც ყოველდღიურად გვიწევს ყოფა-ცხოვრება. აუტიზმის მქონე ბევრ ადამიანს სწავლას ვიზუალური მინიშნებები უადვილებს. ინფორმაციის მიწოდება ვიზუალური გზით ეხმარება მათ კომუნიკაციაში, ხელს უწყობს მეტყველების განვითარებასა და ინფორმაციის გადამუშავებაში. ასევე, დროთა განმავლობაში, ვიზუალიზაციის დახმარებით, ისინი თავს უფრო დამოუკიდებლად და თავდაჯერებულად გრძნობენ.

როგორ გამოვიყენოთ ვიზუალური მინიშნებები?

როგორი ვიზუალური მინიშნებების გამოყენაც არ უნდა გადაწყვიტოთ, იქნება ეს ფოტო, ნახატი, სიმბოლო თუ წარწერა, მნიშვნელოვანია, რომ ისინი შეუსაბამოთ ბავშვის ასაკსა და განვითარების დონეს. ქვემოთ ჩამოთვლილია ვიზუალური მინიშნებების ისეთი მაგალითები, რომლებიც შესაძლოა ყველა ბავშვთან გამოგვადგეს.

პირველ რიგში, გააკეთეთ ან სთხოვეთ მშობელს მოგიტანოთ ბავშვის ფოტოსურათი. სასურველია, სურათზე ბავშვი მთლიანად ჩანდეს, ფონად კი მხოლოდ ერთი ფერი იყოს, რომ ბავშვს ფოტოს აღქმა გაუადვილდეს. ფოტოსურათი დააწებეთ სქელ ქაღალდზე, დატოვეთ ადგილი წარწერისთვის, დაწერეთ ბავშვის სახელი, გაუკეთეთ ჩარჩო და ჩააწებეთ წარწერის ადგილას. ანუ ფოტოს ქვევით და მთლიანად დაალამინირეთ. შემდეგ გაუკეთეთ მარტივი ჩამოსაკიდი თოკი, რომ ბავშვმა თვითონ შეძლოს სურათის დაკიდება. იხ. მაგალითი ნახ.1



გამოყავით ადგილი, ჯგუფის შესასვლელთან, ბავშვისთვის ხელმისაწვდომ და თვალსაჩინო ადგილას. ამ ადგილზე დადეთ გამჭვირვალე ყუთი და ჩაალაგეთ შიგნით, როგორც ბავშვების, ასევე თქვენი ფოტოსურათები. ჯგუფში შესვლამდე, სთხოვეთ ბავშვებს იპოვნონ თავიანთი ფოტოები და დაკიდონ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. (კედელზე, ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე გააკეთეთ სარჩები, სადაც ბავშვები დამოუკიდებლად შეძლებენ, თავისი ფოტოების დაკიდებას).

ყოველი დღე უნდა დაიწყოთ ასე, რათა ბავშვი მიეჩვიოს ამ ქმედებას. (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბავშვს დაგვიანებით მოიყვანენ ბაღში, მაინც დააკიდებინეთ თავისი ფოტო).


როგორ გავხადოთ დრო ხილული?

როგორც აღვნიშნეთ, აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის რთულია ცვლილებების აღქმა და მათ უყვართ რუტინა. იმისთვის, რომ თავი კომფორტულად და დაცულად იგრძნონ, სასურველია, წინასწარ იცოდნენ დღის განმავლობაში რა რის შემდეგ მოდის, რაშიც მათ ვიზუალური განრიგი დაეხმარება. საწყის ეტაპზე, შესაძლოა ყურადღება არ მიაქციონ ვიზუალურ განრიგს, მაგრამ ეს უკვე თქვენზეა დამოკიდებული, შეძლებთ თუ არა მათთვის ვიზუალური განრიგის „კითხვის“ სწავლებას. დღის განრიგი დაახლოებით 8 ბარათისგან შეიძლება შედგებოდეს. სასურველია, ბარათები ზემოთ ნაჩვენები ფოტოსურათის ზომის და ფორმის იყოს. ისინი ჰორიზონტალურად, ერთმანეთის გვერდიგვერდ დაკიდეთ. თითოეული აქტივობის დაწყების წინ დაანახეთ ბავშვებს იმ აქტივობის ბარათი, რასაც იწყებთ მაგ. დილის წრე, ჩაატარეთ დილის წრე და დასრულების შემდეგ, დაანახეთ როგორ გადაატრიალებთ ბარათს, რაც იმას ნიშნავს, რომ დღის ეს ნაწილი უკვე დამთავრებულია. ყველა ბარათს უკანა მხარე ერთი ფერის უნდა ჰქონეს, სასურველია მუქი მაგ. ლურჯი, რომ ბავშვებისთვის უფრო ადვილი აღსაქმელი იყოს დასრულება.

მაგ. 1.დილის წრე - 2. საუზმე (ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, შეგიძლიათ საუზმისა და სადილის სიმბოლოები სხვადასხვანაირი გააკეთოთ, ან ორივესთვის ზოგადად ჭამის აღმნიშვნელი სიმბოლო გამოიყენოთ). 3.თამაში/აქტივობა. (სამი სხვადასხვა სურათი დაგჭირდებათ, რომლებსაც საჭიროებისამებრ შეცვლით ხოლმე ჯგუფში თამაშის, ეზოში

გასვლის და მუსიკაზე გასვლისთვის) 4. ხილის მიღება 5. თამაში/აქტივობა, 6. სადილი 7. დალაგება 8. დამშვიდობება.

ნახ2. - დღის განრიგი



დღის განრიგი, რა თქმა უნდა, კედელზე იქნება გაკრული. ყველა ჯგუფს შეუძლია დღის განრიგისთვის სხვადასხვანაირი სურათის გამოყენება, გამომდინარე ბავშვების ასაკობრივი განვითარებიდან.

ყველა ამ ბარათს, სასურველია, ქონდეს თავისი რამდენიმე ქვებარათი, რომელიც არა კედელზე, არამედ თქვენ გექნებათ შენახული, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოთ. მაგ. **თამაშის ბარათი**, რომელიც დღის განრიგის შემადგენელი ნაწილია და კედელზეა გაკრული, შედგება რამოდენიმე ქვებარათისგან: ხატვის, კუბურების, ბურთის და სხვა. ანუ მისი ჩვენების შემდეგ, სასურველია აუტიზმის მქონე ბავშვს ანახოთ ცალკე გაკეთებული აქტივობის ბარათი, რომელიც კონკრეტულად იმ აქტივობას ასახავს, რაც დაგეგმილი გაქვთ. მაგ. ხატვა, კითხვა, კულინარიული აქტივობა და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივობა დაგეგმილი არ გაქვთ შეგიძლიათ დაულაგოთ ცენტრების აღმნიშვნელი ბარათები, და რომელსაც აირჩევს, (მოკიდებს ხელს), იმ ცენტრში წაიყვანოთ.


ასევე, დღის განრიგში ეზოში გასვლის ბარათის ჩვენების შემდეგ, სასურველია აუტიზმის მქონე ბავშვს ანახოთ ტანსაცმლის ჩაცმის ბარათი და ა.შ.

ჭამის ბარათის კდელებზე ჩვენების შემდეგ - შეგიძლიათ აჩვენოთ ხელების დაბანის ბარათი.

ვიზუალური მინიშნებების გაკეთება და გამოყენება დამოკიდებულია ბავშვის განვითარების დონეზე და თქვენს ინტუიციაზე. შესაძლოა საწყის ეტაპზე ბევრ ბავშვთან მოგიწიოთ მაგ. ჭამის ბარათის ჩვენების შემდეგ ხელების დაბანის ბარათის ჩვენება, მაგრამ, დროთა განმავლობაში ისინი მიეჩვევიან :)

თანმიმდევრობის დაცვასა და გაგებას, აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. როდესაც მათ იციან, რა რის შემდეგ მოდის, თავს უფრო დაცულად გრძნობენ და უქრებათ შფოთის განცდა. თანმიმდევრობის „დანახებაში“ კი დაგეხმებათ „ჯერ - შემდეგ“ ბარათების გამოყენება. .

იხ.ნახატი 3



საჭიროების მიხედვით, გამოიყენეთ ამ ბარათის სხვადასხვა ვარიაციები.

დღის ბოლოს, დამშვიდოებების ბარათის დღის განრიგზე ჩვენების შემდეგ, სთხოვეთ ბავშვებს ჩამოხსნან და ჩაალაგონ თავიანთი სურათები შემოსასვლელში არსებულ ყუთში.

შეეცადეთ დღის გარიგე არ ცვალოთ და ყოველთვის მიჰყვეთ ძირითდ თანმიმდევრობას, რაც დროთა განმავლობაში ძალიან გაუადვილებს ბავშვებს ბალის სივრცეში ყოფნას.

გადასვლები

გარდა ვიზუალური მინიშნებებისა, აუტიზმის მქონე ბავშვებს გაუდავილებს თქვენს ჯგუფში ყოფნას ხმოვანი მინიშნებები. მაგალითად ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლისას, კარგი იქნება გქონდეთ შერჩეული ყოველთვის ერთნაირი ხმოვანი/სმენითი მიმანიშნებელი (მუსიკა, სიმღერა, ლექსი) დალეგებს დაწყების წინ ჩართეთ შესაბამისი მუსიკა, ან მოიფიქრეთ სიმღერა ან თქვით რამე ლექსი, კვების დაწყებისას კი სხვა ლექსი, სიმღერა ან მელოდია, ეზოში გასვლასა და ჩაცმას შეუსაბამედ სხვა სიმღერა და ა.შ. ხმოვანი მიმანიშნებელიც მარტივი და ბავშვის სმენისთვის სასიამოვნო უნდა იყოს.

კიდევ რამდენიმე რჩევა, როგორ შეუწყოთ ხელი აუტიზმის მქონე ბავშვს თქვენს ჯგუფში

- > სანამ ბავშვს, რამე დავალებას /ინსტრუქციას მისცემდეთ, დარწმუნდით, რომ მისი ყურადღების ცენტრში ხართ. მხოლოდ მას შედეგ შეძლებენ ისინი თქვენს გაგებას, როდესაც ყურადღებას მიიქცეით. შეგიძლიათ დაუძახოთ სახელი, მიხვიდეთ ბავშვთან ახლოს, შეეხოთ მხარზე (ოღონდ წინასწარ უნდა იცოდეთ, როგორ იღებს ის შეხებას), ან მოიფიქროთ სხვა რამ, რითიც ყურადღებას მიიქცევთ და მხოლოდ შემდეგ მიეცით დავალება.
- > გამოიყენეთ მარტივი სასაუბრო ენა, არ იხმაროთ რთული სიტყვები და გრძელი წინადადებები. სიტყვებთან ერთად გამოიყენეთ ვიზუალური მინიშნებები. მაგალითად, თუ გინდათ, რომ ბავშვებს უთხრათ, რომ მათ უნდა დააღაგონ და შემდეგ მიირთვან გამოიყენეთ, „ჯერ - შემდეგ ბარათი“. თუ პირველ ჯერზე ბავშვები ბართს არ მიაქცვენ ყურადღებას არ იდარდოთ, შემდეგ ისევ გამოიყენეთ. თანდათანობით მიეჩვევიან და ისწავლიან მის ცნობას, ისევე როგორც თქვენი ნათქვამისა და ბარათის დაკავშირებას.
- > მიეცით ბავშვებს დრო, იმისთვის რომ გადაამუშაონ თქვენს მიერ მიცემული დავალება. შეეცადეთ გამოიყენოთ „ნ წამის წესი“, მას შემდეგ რაც ბავშვებს მისცემთ

ინსტრუქციას, გულში დაითვალეთ ექვსამდე. ამ შემთხვევაში ბავშვებს საკმარისი დრო ეძლევათ იმისათვის, რომ გაიგონ რაც უთხარით.

> როგორც აღვნიშნეთ აუტიზმის მქონე ბავშვები უკეთ აღიქვამენ და გიგებენ თქვენ, როდესაც იყენებთ ვიზუალურ მინიშნებებს. ვიზუალური მასალის არჩევისას გაითვალისწინეთ, რომ მასალა რეალურ საგნებს უნდა გავდეს, რადგან აბსტრაქტული ნახატების აქტქმა მათ გაუჭირდებათ.

>საჭიროა გქონდეთ მშვიდი ადგილი, ანუ ადგილი განტვირთვისათვის, რომელიც არ იქნება გადატვირთული ბევრი ნახატითა თუ სამბოლოებით,. რადგან გადაჭარბებულმა ვიზუალიციამ, ისევე როგორც ხმაურმა და მძაფრმა სუნებმა, შესაძლოა მათი გაღიზიანება გამოიწვიოს. შეეცადეთ არ გამოიყენოთ ისეთი ნახატები/ზარათები, რომელიც ძალიან ბევრი ინფორმაციის მქონეა, რადგან მათი გაგება გაუჭირდებათ.

> ჯგუფის წესები და რუტინა ყოველთვის ერთნარად უნდა სრულდებოდეს, და თავიდანვე კარგად უნდა იქნას სტრუქტურირებული.

> ვიზუალური განრიგი ეხმარება მათ იმის გაგებაში, თუ რას უნდა მოელოდნენ დღის განავლობაში და შესაბამისად მოულოდნელობებისგან იცავს მათ.

გარდა ამისა, რა თქმა უნდა, სასურველია, მოიფიქროთ თქვენი სტრატეგიები. ჩართეთ მშობლები თქვენს საქმიანობაში, ანუ წახალისეთ ისინი, გამოიყენონ იგივე სტრატეგიები, რასაც თქვენ იყენებთ ბავშვთან მიმართებაში. სტრატეგია, რომელიც ერთ ბავშვთან გაამართლებს, შესაძლოა სხვასთან არ გამოგადგეთ, რადგან როგორც ნებისმიერი ადამიანი, აუტიზმის მქონე ბავშვებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. სწავლება დინამიური და ორმხრივი პროცესია. გახსოვდეთ, რომ არამხოლოდ აუტიზმის მქონე ბავშვი სწავლობს თქვენგან, არამედ თქვენც აუმჯობესებთ და აწვითარებთ თქვენს უნარებს, თუ ბავშვის საჭიროებებისადმი მგრძობიარე ხართ. ზემოთ მოცემული რჩევებს შეგიძლიათ შეხედოთ როგორც პირველ საფეხურს, ზევით ასავლელად კი, მოჰყევით თქვენს ინტუიციას. საუკეთესო გზა იმისთვის, რომ თქვენი ჯგუფი აქციოთ აუტიზმის მქონე ბავშვისთვის კომფორტულ გარემოდ, არის ის რომ წარმოიდგინოთ თქვენი თავი მის ადგილას და შეხედოთ გარემოს მისი თვალით.

გისურვებთ წარმატებებს ☺



დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ იხილოთ შემდეგი მასალები:

1. Perepa P. Classroom and playground: support for children with autism spectrum disorders Okt.17, 2011 - ბოლო ნახვა ოქტ, 20, 2014
2. The National Autistic Society. *Visual supports*.
www.autism.org.uk/visualsupports ბოლო ნახვა ოქტ, 20, 2014
3. <http://www.myhandicap.de/autismus-beeintraechtigungen-behinderungen-autisten.html?gclid=CLWy4rHYx8ACFZTLtAodLSIA6g> – 09/1013; ბოლო ნახვა ოქტ.21, 2014